572
1953

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

№ 8 აგვისტო 1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მადლობა მშობლიურ პარტიას!

კვლავ კრემლის კედელი
კლდეზე მაგარია,
კვლავ ჩვენი სამშობლო
ტურფა ბაღნარია.
შრიალებს შალაშინი—
სკოლები შენდება,
მშვიდობის ნათელი
დღეები თენდება.
მღელვარე ყანაში
ყაყაჩო ანთია.
მადლობა,
მადლობა
მშობლიურ პარტიას!
ჩვენ არვის ვაშინებთ
ტყვიით და ხიშტებით;
სამშობლოს უძღვიან
წინ კომუნისტები.
ბაღლდება პარტიის
დიადი ხელებით
სამშობლო მშვიდობის,
სამშობლო შენების.
მოსკოვის დიდ ბაღში
ვარსკვლავი ანთია.
მადლობა!
მადლობა,
დიადო პარტიავ!
ტკბილია საბჭოთა
სამშობლოს შვილობა.
მიიღე, მშობელო,
ფიცი და პირობა.—
რომ მარად სამშობლოს
ერთგულნი დავრჩებით
პარტიის შვილები,
საბჭოთა ბავშვები.
გარს შენი ზრუნვა და
ამაგი გვარტყია.
მადლობა,
მადლობა
მშობლიურ პარტიას!

მურმან ლებანიძე

ლემნა შენგელაია

შახტებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐ-369

პაპა ასლანი ძველისძველი მაღაროელი იყო. საზაფხულოდ მასთან ჩამოსულ შვილიშვილს ნოდარს ნატვრა აუსრულდა. აქამდე ეუბნებოდნენ, ჯერ პატარა ხარ, მაღაროში რა გინდაო, მაგრამ ამ ზაფხულს თავისი მაინც გაიტანა.

ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, რომ ნოდარი ლოგინიდან წამოიჭრა, ხელპირი დაიბანა და პაპასთან ერთად სუფრას მიუჯდა.

— ჭამე, კარგად ჭამე, შვილო, თორემ მაღაროში სიმშილი იცის. -- ეუბნებოდა პაპა შვილიშვილს, -- იქ მუდამ გრილა. ჰაერსაწმენდი მანქანიდან ნიავი გამუდმებით ქრის და მადას აღვიძებს.

მაღაროს რომ მიუახლოვდნენ, ნახეს: ხე-ტყის ქარხნებში კანშემოცლილ ფიჭვის მორებს მუშები ზომით ხერხავდნენ. ელექტროხერხს მორს დაადებდნენ და თვალის დახამხამებაში იხერხებოდა.

შახტის სამმართველოს თავზე წითელი ვარსკვლავი ბრიალებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ შახტს საწარმოო გეგმა დღესაც წარმატებით შეესრულებინა.

პაპამ და ნოდარმა შახტის სამმართველოს კიბე რომ აიარეს, პაპამ უთხრა:

—ახლა ტანისამოსი გამოვიცვალოთ!—

ნოდარის სარგო ტანისამოსი პაპას შინიდან წამოეღო და გამოუცვალა. ჯერ დაბამბული თბილი შარვალი, ქურთუკი და მერე ზედ ბრეზენტის სპეცურა გადააცვა. ფეხზე რეზინის პატარა ჩექმები ჩააცვა და თავზე ქვასავით მაგარი ქუდი დაახურა. შემდეგ სალამპისაკენ გაემართნენ. პაპამ გზაში აუხსნა, თბილი ტანისამოსი საჭირო იმიტომ არის, რომ მიწისქვეშ გრილა, ხოლო ბრეზენტისა კი იმიტომ, რომ ჭერიდან ჩამოდენილმა ნიადაგის წყალმა არ დაგასველოსო. ეს მეშახტის ქუდიც მაგარი იმიტომ არის, თავი ჭერში შემთხვევით რომ აარტყა, არ დაშავდეო.

სალამპეში მათ ვიღაც ქალი მიესალმა და ორი მოზრდილი ლამპა მიაწოდა. პაპა ასლანმა ელექტროლამპის კოლოფი ნოდარს ზურგს უკან, წელზე სარტყლით მიამაგრა, მერე ზედ გამობმული ზონარი მხარზე გადმოუტარა და ფიჯნის ტოლა პატარა ლამპა ხელში მისცა.

— აი, ახლა ნამდვილი მაღაროელი ხარ! — თქვა პაპამ ალერსიანად.

— ეს რაღა არის? – იკითხა ნოდარმა მოკრძალებით და ზურგზე მიმაგრებულ კოლოფს ხელი მოუსვა.

— ეს დენის გამაძლიერებელია, შვილო, — აკუმულატორს ეძახიან; ეს აძლიერებს და ინახავს ელექტროდენს.

— აბა, შენ იცი, პაპას მუშაობაში როგორ მიეხმარები. — დაუმატა ღიმილით ქალმა და ლამპები ახლა მაგიდასთან თავმოყრილ მაღაროელებს მიაწოდა, თან მუშების გვარებს იწერდა.

— გვარებს იმიტომ წერს, შვილო, — უთხრა ნოდარს პაპამ, — მაღაროში აუარებელი ხალხი ჩადის. მუშაობა რომ დამთავრდება, ლამპებს აქ აბარებენ. ამ ქალს ლამპა თუ დააკლდა, მაშასადამე კაცი ისევ მაღაროშია და განგაშს ატეხენ. ვინ იცის, იქნებ დაშავდა და მაღლა იმიტომ ვერ ამოვიდაო. დაკარგულ კაცს იპოვნიან და, თუ საჭირო იქნება, პირველდახმარებასაც აღმოუჩენენ. — ამ სიტყვებით პაპამ ნოდარი მაღაროსაკენ წაიყვანა; იქ მიწისქვეშა მატარებელი ჩამოეყენებინათ. ისინიც ჩასხდნენ; თითო ღია ვაგონში ოთხი კაცი ეტეოდა. ვიღაცამ ჩამოიარა და ყველა გააფრთხილა: თუთუნი ან ასანთი თან არ გქონდეთო. ნოდარს გაუკვირდა.

— ეს იმიტომ, შვილო, რომ მაღაროში ვინმე დაუდევარმა თუთუნი არ მოსწიოს და გაზი არ აფეთქდეს. ჩვენებური ქვანახშირი წყალბადის გაზს უხვად გამოჰყოფს. სკოლაში ისწავლი, რომ წყალბადის გაზი ფიცხია და ადვილად ფეთქდება. შეიძლება, სულ უბრალო ნაპერწკალმაც აფეთქება გამოიწვიოს და ხალხი დაღუპოს. იმ შავბნელ დროში, შვილო, როცა ამ ქვანახშირის მეპატრონე ხალხი კი არა, ვიღაც არამზადები იყვნენ, მეშახტეებისათვის ვინ იზრუნებდა! კვირა ისე არ გავიდოდა, აფეთქება არ მომხდარიყო და ვინმე არ დაღუპულიყო. ახლა მაღაროების გვირაბებს ანიავებენ, რომ გაზი არ დაგროვდეს.

ქვანახშირით დატვირთული მატარებლები გვირაბიდან ზედიზედ გამოქროდნენ, ცარიელები უკანვე ბრუნდებოდნენ. ნოდარი მათ თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა, თან პაპას უსმენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი შახტის სიღრმე სამასი მეტრია. მატარებელი შახტამდე მიგვიყვანს და იქ ლიფტით ჩავეშვებით. ნახშირიც ლიფტით ამოაქვთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი შახტთან შედგა და ისინი სიღრმეში ლიფტით ჩავიდნენ. ქვევით ქვანახშირით სავსე ვაგონებთან ხალხი ირეოდა. ღამის ცვლას მუშაობა დაემთავრებინა და მეშახტეები მაღლა რიგრიგობით ადიოდნენ.

პაპამ ნოდარს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— აბა, ლამპა აანთე და წავიდეთ.

ნოდარმა ღილს ხელი დააჭირა და მისმა პაწია ლამპამ ძლიერი შუქი კედლებს სტყორცნა.

გვირაბში ჩაუარეს ელექტროსადგურს, დეპოს და სახელოსნოს; მოშორებით საექიმო პუნქტი და ნალმის საწყობიც იყო.

მათ მალე თავი უკუნეთ სიბნელეში ამოჰყვეს და გზას ლამპით ინათებდნენ. ამ დროს გუგუნი შემოესმათ. პაპამ ნოდარი კედელთან მიაყენა და თვალწინ ქვანახშირით დატვირთულმა მატარებელმა ჩაუქროლა. მატარებელმა რომ ჩაიარა, გზა ისევ განაგრძეს. ნოდარმა მხოლოდ ახლა წარმოიდგინა, რომ ჭერის საყრდენი ხეები სწორედ ისეთი მორები იყო, წელან ზემოთ რომ ხერხავდნენ.

ლიანდაგის გასწვრივ გაყვანილ ღარში მღვრიე წყალი მიღურღურებდა.

— პაპა, ეს წყალი საით მიდის?

— ეს წყალი გვირაბის კედლებიდან მოჟონავს. დიდ აუზში გროვდება და იქიდან მაღლა ტუმბავენ. ხედავ? აი, მაღლა რომ მილებია გაყვანილი? ჰაერი მაღაროში ამ მილებით ჩამოდის, ბურღებს ამუშავებს და ჰაერსაც წმენდს. აქ ჰაერი თავისთავად ისე მოძრაობს, როგორც ღუმელში და მაღაროს გაზი და მტვერი გარეთ გააქვს.

ცოტა რომ გაიარეს, ახლა სულ სხვა-გვარი გუგუნი მოესმათ.

— ქვანახშირს აფეთქებენ. — თქვა პაპამ და მალე ისინი მეშახტეებთან მივიდნენ. ზემოდან ხვრელით დაშვებულ ხის უზარმაზარ ღარში ნახშირი მოსრიალებდა და ზედ მიყენებული ვაგონები ივსებოდა.

შემდეგ ხვრელში შეძვრნენ, ნოდარი პაპამ წინ გაუშვა და თვითონ უკან მიჰყვა. ხვრელში ხის ღარის გასწვრივ გაყვანილი კიბით წელში მოხრილები ავიდნენ. ცოტახანს შემდეგ ლამპების შუქიც გამოჩნდა და მეშახტეებთან დიდ გამოქვაბულში შევიდნენ.

პაპა მეშახტეებს მიესალმა. მეშახტეებს ლამპები ქუდზე მიემაგრებინათ და ისე მუშაობდნენ. ახლად აფეთქებული ნახშირი გამოჰქონდათ; ზოგი ჭერს ამაგრებდა, ზოგი ნახშირს ღარში ჰყრიდა და ზოგი მათგანი ქვანახშირის შრეს ახალი ნაღმის ჩასადებად ბურღავდა.

— აი, შვილო! — თქვა პაპა ასლანმა, — ხედავ, რამდენი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენმა ქარხნებმა, გემებმა და ორთქლმავლებმა ქვანახშირი მიიღონ?! ხედავ, რა ღრმად ჩამოვედით მიწის გულში და საშიში არა არის რა, არავითარი ხიფათი არ მოგველის, თუ მუშაობისა და სიფრთხილის წესებს დაიცავთ. ჩვენი მთავრობა ზრუნავს, რომ მეშახტეებს ეს დიდი შრომა შეუმსუბუქოს; კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მუშისათვის თავს არავინ იწუხებს. იქ, მაღაროებში, აუარებელი მუშა იღუპება. უწინ, მეფის დროს, აქაც იღუპებოდა ხალხი. ახლა კი, შენც კარგად ხედავ, რომ ეს შრომა საპატიო საქმეა და დიდად ფასდება.

— ვხედავ, პაპა! — თქვა ნოდარმა, — სწავლას რომ დავასრულებ, მეც მაღაროელი გამოვალ. უსათუოდ მაღაროელი უნდა გამოვიდე!

მეშახტეებს გაეცინათ. პაპასაც გაეღიმა და შვილიშვილს მხარზე ხელი ალერსით დაადო.

მაღლა რომ ამოვიდნენ, ტანი მაღაროს აბანოში დაიბანეს და სუფთად ჩაცმულები შინისაკენ წამოვიდნენ.

ნოდარმა პაპა წუთით შეაჩერა და მტკიცედ თქვა:

— პაპა, როცა გავიზრდები, უსათუოდ მაღაროში უნდა ვიმუშაო!



ნახატები ე. ბელუსკაიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატი **გ. რობინიშვილისა**

მატარებლობანა

— ვის გინდათ მატარებლობანას თამაში? — გასძახა გიამ ეზოში მოთამაშე გოგო-ბიჭებს, როცა ირგვლივ ცარცით „ლიანდაგის“ დახაზვა მოათავა. ხელფეხი აამოძრავა, ორთქლმავალივით შეჰკივლა და „აგუგუნდა“.

ბავშვები სირბილით მიუახლოვდნენ გიას და „ვაგონებად“ ჩამწკრივდნენ.

— გუგუუუუ!.. ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ... — ამოძრავდა „მატარებელი“.

გელა თამაშობაში არ ჩაერია და ბავშვებისათვის რომ ხელი შეეშალა ზედ „ლიანდაგზე“ მოიკალათა.

— გუგუუუ! — ხმამაღლა დაიკივლა მოახლოვებულმა „ორთქლმავალმა“ და ანიშნა გელას გზიდან ჩამოსცლოდა. გელამ კი ყური მოიყრუა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა მომავალ „მატარებელს“. გიამ გასაფრთხილებლად ერთხელ კიდევ დაჰკივლა და გელა „ლიანდაგიდან“ გადაკოტრიალა. „მატარებელმა გაიქროლა“, გელამ კი ტირილი მორთო.

— ვინ აგატირა, გელა? — გამოესარჩლა ბიჭს უფროსი ძმა, რომელიც ძმის ტირილის ხმაზე ეზოში გამოსულიყო.

— ვინ და აი, იმათ! — სლუკუნ-სლუკუნით მიუთითა გელამ ჩამწკრივებულ ბავშვებზე.

— შშშ... — დაიქშინა „ორთქლმავალმა“ და „სადგურში“ შეჩერდა.

გელას ძმამ ბავშვებს უსაყვედურა.

— ჩვენ არ აგვიტირებია, თავისი ბრალია, დაინახა, რომ „მატარებელი“ მოდიოდა და არ მოერიდა: „მატარებელი“ ხომ „ლიანდაგიდან“ არ გადაუხვევდა?!.. — გაიმართლა თავი გიამ.

— რადგან ასე იყო, შენ ყოფილხარ დამნაშავე, ჩემო ძმაო, - დაამშვიდა გელა უფროსმა ძმამ, ტანისამოსიდან მტვერი ჩამოაცალა, მერე მეგობრებთან შეარიგა, და „მატარებელს“ ბოლო „ვაგონად“ გამოუბა.

„მატარებელმა“ კვლავ გაიქროლა.

— გუგუუუ! — ხმამაღლა გაჰკიოდა გელაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ნიქაბაძე

ქარხანაში

აჰა, რუსთავის ქარხანაც,
გუგუნებს დიდი მარტენი,
ფოლადს ადნობენ და შუქად
იღვრება სხივთა ფანტელი.
ჩემი ძმა, კარგი ძამიკო
დიდი ხანია აქ არის.

ქართული რკინა, ფოლადი
დააქვს ელექტრომანქანით.
სამშობლოს ფოლადს ატარებს,
ჩემი ოცნებაც ის არი,
რომ გავიზრდები, უთუოდ
ფოლადის დნობას ვისწავლი.

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

ზურაბ ლორთქიფანიძე

კვლავ მერხებს დავუბრუნდებით

დადგა ზაფხულის დღეები,
მწვანე ველისკენ ვიჩქარით,
ვიჩქარით მკვირცხლად შევაღოთ
ჩვენი ბანაკის ჭიშკარი.
მზეს მოვიჩრდილებთ მცხუნვარეს
შრიალა ფოთლის ქოლგებით.
ხის ძირს დავსხდებით, გმირებზე
წაკითხულ ამბავს მოვყვებით.
დავაკვირდებით მთის ქანებს,—
წიგნებში დაგვისწავლია,
დავაკვირდებით ყვავილებს
ფერად-ფერადებს, თაფლიანს.
დავზვერავთ მაღალ გორაკებს
შეკრულს კლდეების კედელით.
პატარ-პატარა მწვერვალებს
ავიღებთ ერთი შეტევით.
მოვინახულებთ მიდამოს
მზეზე გადაშლილს ლაღადა.
და მერე ნაცნობ უბნების
პატარა რუქას დავხატავთ.
ასე გაივლის ზაფხული,
გაგვიკაჟდება კუნთები,
მზით გარუჯული ბიჭები
კვლავ მერხებს დავუბრუნდებით.



გიორგი ღათუაშვილი

ნახატი ი. სუხიშვილისა

ექსკურსიაზე

კვირა დღე იყო.

თბილისის „ზღვასთან“ ნორჩი ნატურალისტები მივიდნენ ბუნებისმეტყველების მასწავლებლისა და პიონერხელმძღვანელის თანხლებით.

ლურჯად ლივლივებდა ზღვადაქცეული ივრის წყალი. ბავშვები ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდნენ რამდენიმე კილომეტრზე გაშლილ წყლის ზედაპირს, რომელზედაც იქოჩრებოდნენ ლონიერი ტალღები და ეხეთქებოდნენ ნაპირებს.

— ბავშვებო! — დაიწყო საუბარი ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა, — ტბები, რომლის ადგილი თბილისის „ზღვამ“ დაიჭირა, დაგუბებულ მლაშე წყალს წარმოადგენდა. ეს ტბები პირუტყვის სასმელადაც არ ვარგოდა. სამგორის თვალუწვდენი ველი უსარგებლო იყო ადამიანისათვის ზაფხულის ხანგრძლივი გვალვებისა და ზამთრის სუსხიანი ქარების მიზეზით, ახლა კი თბილისის „ზღვაში“ დაგროვილი წყალი მორწყავს სამგორის ველს.

ამ „ზღვაში“ დაწყებულია ძვირფასი ჯიშის თევზების მოშენება. ეს შიშველი გორაკები, „ზღვას“ რომ გარშემო აკრავს, მალე მწვანე ნარგავებით დაიფარება. „ზღვაზე“ მოეწყობა ნავებითა და კატარღებით სეირნობა.

ახლა ავიდეთ, აი, იმ მაღლობზე, რომ უფრო კარგად დავათვალიეროთ სამგორის ველი!

ბავშვებმა დასავლეთის მხრიდან შემოუარეს თბილისის „ზღვას“ და მაღლობზე ავიდნენ; მათ წინ გადაიშალა დიდებული სანახაობა: თვალუწვდენ ველს ვერცხლის ქამარივით შემოჰკვროდა ივრის წყლით სავსე არხი. ალაგ-ალაგ სამგორის ველს ოქროსფრად გადაჰფენოდა დოლის პურის პირველი ყანები.

— უჰ, რა ლამაზად ღელავს ოქროსფერი თავთავებით დახუნძლული ყანები! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— აი, ეს ყანები წელს პირველად ახარებს ჩვენს გულს, ბავშვებო, — განაგრძობდა მასწავლებელი,—ეს პირველი ნათესებია სამგორის ველზე.

მაღლობიდან „ზღვა“ უფრო უზარმაზარი მოჩანდა.

— რამდენი წყალია უკვე დაგუბებული, ნუთუ ამდენ წყალს საჭიროებს სამგორის ველზე დათესილი მცენარეები?— გაკვირვებით წარმოთქვა ნიკომ.

— ბავშვებო, ყველა თქვენგანს უნახავს სიმინდის ნათესი. რამდენი წყალი სჭირდება თითოეულ მათგანს?

— ბევრი-ბევრი, ოცი ლიტრი დასჭირდეს. — უპასუხა ისევ ნიკომ.

— ოჰო, რომ იცოდე, რამდენი დააკელი საწყალ სიმინდს, ჩემო ნიკო, — თქვა მასწავლებელმა ღიმილით, — მეცნიერების მიერ გამოანგარიშებულია, რომ თითოეული ძირი სიმინდისათვის, დათესვიდან მოსავლის აღებამდე – ორასი ლიტრი წყალია საჭირო!

— აი, რა ლამაზი გვირგვინი გავაკეთე, მასწავლებელო. — მიმართა ნათელამ, რომელსაც აბრეშუმას ოქროსფერი ღეროებისაგან ლამაზი გვირგვინი დაეწნა და თავზე დახურვას აპირებდა.

მასწავლებელმა ჩამოართვა ნათელას გვირგვინი და ბავშვებს მიუბრუნდა:

— აი, ეს „ლამაზი" მცენარე, რომელსაც „აბრეშუმა" ეწოდება, პარაზიტი, ანუ მუქთახორა მცენარეა; თქვენ იცით, რომ მცენარეები თავისი არსებობისათვის საჭირო წყალსა და საკვებს ნიადაგიდან ფესვების საშუალებით იღებენ, ხოლო ფოთლებით კი სუნთქავენ, ამას კი ფესვები არა აქვს და არც ფოთლები გააჩნია.

— მაშ, როგორ ცხოვრობს, ვინ აძლევს საკვებს?

მასწავლებელმა ახლად ნამარგლი სარეველებიდან ამოარჩია აბრეშუმაშემოხვეული სხვა მცენარე, მასზე ბეჭდებივით იყო შემოვლებული აბრეშუმას წვრილი ღეროები, რომლებზედაც აქაიქ თანაბარ მანძილზე ბეჭდის თვალივით ამოშვერილი ადგილები ემჩნეოდა.

— აი, ბავშვებო, დააკვირდით, როგორ ჩაუშვია ღეროდან თავისი საწოვრები ნაცარქათამას ღეროზე, ამ საწოვრებით ართმევს ნაცარქათამას, ხახვს, და სხვა მცენარეებს იმ საკვებს, რომელსაც ისინი თავიანთი ფესვებითა და ფოთლებით მოიპოვებენ. ეს მუქთახორა კი თვითონ არც უფესვობაზე ნაღვლობს და არც ფოთლის უქონლობაზე.

ამასთან, თითო აბრეშუმა წელიწადში, აი, ამ მეჭეჭების საშუალებით ასი ათასამდე ცალ თესლს აბნევს ნიადაგში!

— ოჰო! — წამოიძახეს გაკვირვებულმა ბავშვებმა.

— მის გამრავლებას, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანას ზოგჯერ თქვენ თვითონ უწყობთ ხელს, როცა მისგან სხვადასხვა სათამაშოს აკეთებთ.

— მაშ, თუ ასეა, სადაც ვნახავთ, უნდა შევაგროვოთ და დავწვათ. — მიუგო პიონერხელმძღვანელმა.

— დიახ, საჭიროა გულდასმით შეგროვდეს, გამოტანილ იქნეს ნაკვეთიდან და აუცილებლად დაიწვას.

— ასეთი მუქთახორა და პარაზიტები სხვაც არის ჩვენთან გავრცელებული, მასწავლებელო? — იკითხა ნათელამ.

— როგორ არა. აი, მაგალითად „კელაპტარა", რომელიც სატაცურის მსგავსად ერთ ღეროს იკეთებს და ბოლოვდება დიდი მტევნისებური ყვავილით. ფესვებით კი სხვა მცენარის ფესვებს ემაგრება. მას ძალიან უყვარს მზესუმზირას ფესვებზე ცხოვრება.

მრავალწლიან მცენარეებზე: მსხალზე, ვაშლზე და სხვა ხეებზე ცხოვრობს ნახევრად პარაზიტი მცენარე, რომელიც ალბათ ყველა თქვენგანს უნახავს.

— ფითრი! — წამოიძახეს ნიკომ და გულნარამ.

— დიახ, ფითრი! მას ნახევრად პარაზიტი ჰქვია, რადგანაც ღია - მწვანე ფოთლებით სუნთქავს. ფითრს დაბალი, ყოველმხრივ გატოტვილი ღერო აქვს.

— რა ლამაზ ნაყოფს მოისხამს ხოლმე ზამთარში! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— მართალია, მას თეთრი, პატარა მრგვალი ნაყოფი აქვს, რომელსაც ძალიან ეტანებიან გარეული ფრინველები, ხიდან ხეზე გადააქვთ ფითრის თესლი და ამით უწყობენ ხელს მის გამრავლებას. ფითრიც სარგებლობს თავისი მასპინძელი მცენარის საკვებით, ასუსტებს და გახმობის გზაზე აყენებს მას. ამიტომ არის საჭირო ფითრისაგან ხეხილის გაწმენდა-გასუფთავება.

მოსალამოვდა. ბავშვები სიმღერით უახლოვდებოდნენ გაჩირაღდნებულ სოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პატარა რკინიგზა

ვიხელ კოზიჩკელი

რ. ფუფუკიჩკინისა

ჩვენი პატარა რკინიგზა
მობრძანდით, ნახეთ, აქ არის.
პატარა ორთქლმავალი გვაქვს
და პაწაწინა ბაქანიც.
მუდამ სავსეა სადგური,
ამდენ ნორჩ მგზავრებს ვერ იტევს.
გოგონები და ბიჭები
არ ისვენებენ მთელი დღე.
მთელი დღე ტელეგრაფისტის
კაკუნი ისმის გაბმული
და მემანქანეც პატარა
ორთქლმავლით არის გართული.
ისე მოეკაზმეთ ბაქანი
აქებდა მთელი ქვეყანა.
ერთხელ მოხუცი მოვიდა,
მძიმე ხელბარგი ეკავა.
— ბაზრიდან მოვალ, ბავშვებო,
მოხუცი გზებმა დამქანცეს.
არ შეიძლება, ცოტახანს
მეც დავისვენო ბაქანზე?
— მატარებელში ჩაბრძანდი,
ახლავე წავალთ, ბებია!—
ვუთხარით, მაგრამ რატომღაც
მოხუცს არ შეეხარბებია.
— კი მაგრამ, — მოხუცს აეკვეს, —
ქარი რომ ატყდეს მაგარი,
ლიანდაგიდან გადაცდეს,
მაშინ მშველელი სად არის?
— ნუ გეშინია, ჩაბრძანდი,
ჩვენ ფრთხილად მიგვყავს მანქანა.
ბებია, წარჩინებული
რკინიგზელები გახლავართ! —
და ჩაჯდა გაუბედავად,
თითქოს უნდა და არც უნდა.
დაიგუგუნა საყვირმა,
ბაქანი სწრაფად გაცურდა.

ახლა მწვანე ტუე გვაცილებს,
უკვე შორს დარჩა ბაქანი.
ტუის შრიალს ერთვის ლამაზი
ორთქლმავლის ქშენა, ქაქანი.

. . .

მოდის რვა წლის კონდუქტორი
მტკიცედ, განა ნებივრად:
— მოქალაქე, გთხოვთ, ბილეთი! —
ეუბნება ბებიას.
ეძებს ბილეთს, ვერ იპოვა
და მოხუცი აღელდა.
— უმაწვილებო, დამავიწყდა
მე ბილეთის აღება. —
ამ ამბავმა კონდუქტორი
გააკვირვა ძალიან.
ჯერ გაწითლდა, მერე უთხრა:
— გადიხადეთ ჯარიმა!
— გაგეხუმრეთ, ძვირფასებო,
უჰ, რამდენი მაცინეთ.
მიხარია თქვენთან ყოფნა,
შემოგხარით უმაწვილებს. —
ასე მგზავრობს მხიარულად,
მართლაც ბედნიერია.
გარს ბავშვები ეხვევიან,
იცინიან, მღერიან.
ვიდრე ჩვენი ორთქლმავალი
გზას გულდაგულ მიაპობს,
გთხოვთ, ბებია, — უთხრეს მოხუცს, —
ხლაპარი რომ გვიამბო.
— რა გიამბოთ, ძვირფასებო,
გინდა, გითხრათ მართალი?
თქვენ რომ გხედავთ, მავიწყდება
ყველა ძველი ხლაპარი.
ოხვრით აპობს: — ნეტავ ვიყო
მეც თქვენსავით პატარა,
თქვენთან ერთად მეც მასწავლა,
თქვენთან ერთად მატარა.

თარგმანი ი. ნონაბეშვილისა

ნინო ნაკაშიძე

ნახატები შ. ცხადაძისა

ამიკო და ზღაპარი

არა, სკოლაში აღარ წავალ... მასწავლებელს ვეჯავრები, დღესაც ანგარიშში ორიანი დამიწერა. შინ დედა მიჯავრდება ... არა, არა, გადავაგდებ ამ რვეულს.. — ფიქრობდა ამიკო და მირბოდა. სად მირბოდა, თვითონაც არ იცოდა. უცებ გაკვირდა, რომ სახლებს გასცილებია და მინდორში აღმოჩნდა. ამიკო გაჩერდა და ხმამაღლა შესძახა:

— უჰ, უჰ, აქ რა კარგია! — რვეული ძირს დააგდო და გაირბინა და გამოირბინა, გაირბინა და გამოირბინა მდელოზე. შემდეგ გაგორდა რბილ ბალახზე, გაგორდა და გამოგორდა.

უცებ საკვირველი რამ დაინახა: ხის ტოტებიდან გადმოხტა პატარა ცისფერკაბიანი გოგონა და ამიკოსაკენ გაიქცა.

ამიკოს გაეხარდა გოგონას დანახვა: იქნებ ისიც თავისი რვეულის გადასაგდებად მოვიდა? აბა, ერთი ვკითხო. — გაიფიქრა მან, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ გოგონა ყოველი ფეხის გადადგმაზე იზრდებოდა და, როდესაც ამიკოს მიუახლოვდა, პატარა კი არა, დიდი ქალი აღმოჩნდა.

ამიკო წამოხტა, ტანსაცმელი გაისწორა.

— რა იყო, ამიკო, რისთვის მორბოდი? — ჰკითხა ქალმა ისეთი ალერსიანი ხმით, როგორც დედა ელაპარაკება ხოლმე, როდესაც ორიანი არა აქვს რვეულში ამიკოს.

— მინდა, რვეული გადავაგდო წყალში.

— რატომ? — ჰკითხა ქალმა.

— დედა გამიჯავრდება, გაკვეთილების სასწავლებლად დამსვამს, მე სულაც არ მინდა სწავლა; მინდა ტყეში ვიცხოვრო, ირმებზე ვინადირებ, გარეულ ტახებს და ვეფხვებს მოვკლავ. მე ამიკო კი არ მქვია, ამირანი ვარ, დევებს დავხოცავ.

— ჰოო! მაგრამ დევები ხომ ზღაპრულმა ამირანმა უკვე დახოცა.

— მე გმირობა მინდა!

— ჰო, ეს კარგია, რომ გმირობა გინდა... მართალია, ამირანი გმირია, მაგრამ მან ხომ ჯერ ისწავლა ფარხმალით დევებთან ბრძოლა.

— განა მე კი ვერ ვისწავლი ფარხმალით ბრძოლას?!

— რასაკვირველია, თუ მოინდომებ ისწავლი, მაგრამ ყველაფერს მონდომება უნდა. თუ დევები არ არის, ვის უნდა ებრძოლო ფარხმალით?

მზე გადაიხარა; დაბინდდა. მთის კალთებზე შეფენილ ტყიდან ტურების კივილი გაისმა. ამიკოს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა.

— შენ თუ ტყეში გინდა ცხოვრება, წადი, ნულარ იგვიანებ. — უთხრა ქალმა.

— ტყეში?.. — წამოიძახა შემკრთალმა ამიკომ და ქალს ხელი მოჰკიდა.

— მაშ, შინ თუ გინდა წასვლა, შინ წადი. ნუ, გეშინია, წაგყვები... თუ ამიყვან...

— ამოდენა ქალს როგორ... — ამიკომ სიტყვა ვეღარ დაასრულა, უცებ ქალი ისე დაპატარავდა, რომ განცვიფრებულმა ამიკომ შეჰყვირა;

— ვინ ხარ? როგორ დაპატარავდი?

— მე ზღაპარი ვარ, მინდა — დავპატარავდები, მინდა — დიდი გავხდები.

— მე მიყვარს ზღაპარი, ზღაპარს ყველაფერი შეუძლია. შენ შეგიძლია მთვარეზე აიყვანო ადამიანი?

— შემიძლია!

— აბა, ამიყვანე!

ზღაპარს გაეცინა.

— ერთი ზღაპარი წავიკითხე წიგნში, როგორ ავიდა მთვარეზე კაცი, შენ აიყვანე? — ჰკითხა ამიკომ.

— აბა, ვინ აიყვანდა. მაგრამ ისე ასვლა, მხოლოდ ზღაპრის წიგნში შეიძლებოდა. ახლა კი კაცმა მთვარეზე ასასვლელი მანქანა შეიძლება გამოიგონოს ისე, როგორც თვითმფრინავი გამოიგონა.

— უჰ, — თქვა ამიკომ, — მანქანის გამოგონება ძნელი საქმეა!

— ყოველი საქმე ძნელია, მაგრამ უნდა დასძლიო, თუ რამის გაკეთება გინდა, უნდა გააკეთო და გაიმარჯვო.

— მე გავიმარჯვე ბურთის თამაშში! ისე ვარტყამ კარში რომ. .

— აი, ხედავ?! ანგარიშში გამარჯვება კი არ მოინდომე.

— ანგარიში რა საჭიროა გმირობისათვის?

— ვთქვათ, ამირანი ცხრა თავიან დევს შეებრძოლა, სამი თავი წააცალა, რამდენი თავი დარჩებოდა კიდევ მოსაჭრელი?

ამიკო დაიბნა.

ცა მოიღრუბლა, ჩამობნელდა. ჭექა-ქუხილი ატყდა და წვიმა დაუშვა. პატარა ზღაპარი-გოგონა გაღიმებული იდგა სრულიად მშრალი. წვიმა არ ეკარებოდა. ამიკო კი მთლად გაიწუწა.

— შინ წავალ, თუ წამყვები!

— წაგყვები, დაგეხმარები.

ამიკომ გაშალა ხელი ზღაპრის ასაყვანად, მაგრამ გოგონა-ზღაპარი გაქრა. ამიკომ გაფაციცებით დაუწყო ძებნა და ბოლოს დაინახა, რომ პაწია გოგონა აცოცდა მის მუხლებზე, შემდეგ მხრებზე და გაუჩინარდა.

— სადა ხარ! — შეჰყვირა ამიკომ.

— ნუ გეშინია, აქა ვარ, შენს ყურში! — მოესმა მას წვრილი ხმა.

როდესაც ამიკო შინ დაბრუნდა და ელექტრონით გაშუქებული ეზოს ჭიშკარი შეაღო, დის ყვირილი მოესმა.

— მოვიდა, ამიკო მოვიდა!..

ყველანი გამოცვივდნენ სახლიდან და გარს შემოეხვივნენ ამიკოს. მამამ უთხრა:

— ამირან, განა ორიანის გამოსწორება ისე ძნელი იყო შენთვის, რომ გადაიკარგე და შიშით დაგვხოცე?

— მამა... — დაიწყო ამიკომ, უნდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ემართლებინა, მაგრამ ყურში მოესმა წვრილი ხმა, რომელიც მის გარდა ვერავინ გაიგონა:

— ჰო, დაჰპირდი, ამიკო, რომ გამოასწორებ ორიანს, დაგეხმარები. შენ ხომ გმირობა გინდა? ორიანის გამოსწორებაც გმირობაა!..

— ჰო, მამა, გამოვასწორებ... დედიკო, აღარ შეგაშინებ. — ამიკო თავჩაღუნული იდგა, ეცოდებოდა დედა, რცხვენოდა მეზობლებისაც, შემდეგ ცოტა დაისვენა, ამოიღო წიგნები და შეუდგა სწავლას.

— მაშ, ახლა ისწავლე, მე წავალ. — მოესმა ამიკოს ყურში.

— არ წახვიდე. ხვალ მასწავლებელი...

— ხვალ დილით მოვალ და წაგყვები მასწავლებელთან. ახლა სხვაგან უნდა წავიდე.

დილით ამიკომ, გაიღვიძა თუ არა, მაშინვე მოესმა ყურში წვრილი ხმა:

— მე აქ ვარ!..

— ვისწავლე, ვისწავლე! ვიცი! — შესძახა ამიკომ.

— მაშ, იქნებ აღარ ვარ საჭირო?

— არა, არა, საჭირო ხარ. მასწავლებელი არ დამიჯერებს.

გახარებული მირბოდა დილით ამიკო სკოლაში. კარგახანია ასე სიამოვნებით არ წასულა, დღეს ყველა დავალება შესრულებული ჰქონდა. მაგრამ მაინც ეშინოდა, ვაი თუ მასწავლებელი უკმაყოფილოდ შემხვდესო. ამ წლის განმავლობაში არც ერთხელ არ უსწავლია რიგიანად გაკვეთილი და გამბედაობა არ ჰყოფნიდა. ახლა კი გაბედულად შევიდა კლასში.

მასწავლებელმა თვალი გადაავლო ყველას და ამიკოს დანახვაზე სიამოვნება გამოეხატა სახეზე.

— ამირან, დღეს შენ მხიარული ხარ, გეტყობა გაკვეთილები იცი.

— ვიცი, პატივცემულო მასწავლებელო.

— აბა, მიპასუხე.

და ამიკომ უპასუხა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ამირან. დღეს შენ ყველაფერი კარგად იცი. იმედი მაქვს, ასე განაგრძობ სწავლას მთელი წლის განმავლობაში.

— აი, ხომ ხედავ, ამიკო, რომ მასწავლებელს სრულიად არ ეჯავრები! ხომ ნახე, როგორ გაეხარდა დღეს შენი გამარჯვება სწავლაში? მე ახლა წავალ, მაგრამ გახსოვდეს, ისევ მოვალ და, თუ კარგად ისწავლი, დაგეხმარები მთვარეზე ასასვლელი მანქანის გამოგონებაში.— ჩასჩურჩულა ყურში ზღაპარმა.

ამიკომ მაშინვე ყურზე იტაცა ხელი, მაგრამ აღარავინ იყო. ჩაფიქრდა ამიკო, მერე აღტაცებით შესძახა:

— ვისწავლი! ვისწავლი!

კ. გოგიაშვილი

ნახატები ალ. პეფხვაძისა

„გულადი ბიჭი“

პიესა 2 სურათად

მონაწილენი: **გივი, ვახტანგი, გოგი
მზია, თინა და აღმზრდელი**

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს ფიჭვნარს
შემოდიან ჯოხებზე გადამსხდარი ბავშვები
სიმღერით

გივი

აღმზრდელი

ვახტანგი

გოგი

ბავშვები — რა ლამაზად აწვდილან
ფიჭვები და ნაძვები,
ხშირფოთლიან ბუჩქებში
კურდღლებივით დავძვრებით.
რა ლამაზი ტყე არის,
რა მზიანი დარია...
გივი — (კალიას იჭერს) აჰა!
ვახტანგი — რა დაიჭირე?
გივი — ვეებერთელა კალია,
გაშვერილი ორი რქა
ხედავ? მაღლა ასწია,
ფეხებზედაც რეზინის
ფეხსაცმელი აცვია.
რა გაცინებთ? არ გჯერათ?
(გივის გამოაჯავრებს)
ჰმ! გადაიხარხარა,
ამიტომაც დახტუნავს
აქეთ-იქით ჩქარ-ჩქარა;
გოგი — კი არ ხტუნავს, დაფრინავს.
გივი — ჰმ! აბა შენ რა იცი,
უნდა დავსვა მინდორზე,
ვახტანგ, იქით გაიწი.
ვახტანგი — გაგექცევა,
გივი — მოიცა...
თინა — გივი, აბა მიჩვენე...
გივი — (ესვრის) აჰა!
თინა — თმებში შემიძვრა,
ვახტანგ, გოგი, მიშველეთ...
(ტირის)
მზია — არ გრცხვენია, გივიკო,
გივი — (იცინის) ეს თინა რა ყოფილა;
(მზიას) ასეთი მშიშარა გყავს
მეგობრად და დობილად?!
ნახეთ, როგორ ისკუპა.
გოგი — კი არ ისკუპა, გაფრინდა.
გივი — აბა, შენი სწავლება
ერთი მითხარ, რად მინდა!
გოგი — რა ჯიუტი ყოფილა,
სხვას ყველაფერს უწუნებს,
გესმის? თვითმფრინავივით
რომ მიფრენს და ზუზუნებს?!
შეაშინა ეს გოგო,
მზია — სუ, გაჩუმდი თინიკო,
(შემოდის აღმზრდელი)
აღმზრდელი — რა გაჩხუბებთ,
ბავშვებო,
რომ ტიროდა, ვინ იყო?
თინა — გივიმ დიდი კალია...
მზია — თინას თმაში ესროლა.
აღმზრდელი (გივის) ჭკუით
თუ არ იქნები,
არ გაგიშვებ ეზოდან.
(გივი მიიპარება)
გივი, შორს არ წახვიდეთ,
წყალში ფეხს ნუ ისველებთ;
მალე მოდით წყაროსთან,
ყველანი იქ ვისვენებთ.
(მიჰყავს მზია და თინა და გადის)
გივი — რა მშიშარა ყოფილა,
ვახტანგი — შენ კი არ ხარ მშიშარა?!
გივი — მე მშიშარა?!
ვახტანგი — დიახ, შენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ არ დაიშალა, —
ტყეში წამომყევითო,
ჩვენც წავყევით სუყველა;
მზე უკვე ჩადიოდა,
ღამდებოდა ნელ-ნელა.

გოგი — მერე, სად მიდიოდით?

ვახტანგი — (განაგრძობს) ჩუმად,
არ იყვიროთო,
მგლის ბუნაგი ვიცი და
მგელი დავიჭიროთო!

გოგი — მგელი? (იცინის)

გივი — მერე, რა მოხდა,
სულაც არ მეშინია,
აივანზე შიშისგან
ვერც კი დაგიძინია.

გოგი — რაო?

გივი — დიახ, ასეა,
გაკრთობთ ფოთლის შრიალი,
არც ვეფხვის მეშინია
და არც ლომის ღრიალის...

ვახტანი — გოგი, გესმის? გუშინაც
ტრაბახობდა ყმაწვილი.

გოგი — მერე?

ვახტანგი — ხმალი ეჭირა
ხელში მაღლა აწვდილი.
ვხედავთ, უცბად რაღაცამ
ბუჩქში გაიშრიალა,
საშინელი მხეცივით
ძლიერ დაიღრიალა...
მერე ჩვენსკენ წამოვიდა,
თვალიც დააბრიალა...
უცბად ფერი დაეკარგა
ჩვენს გივის თმაქოჩორას,

გოგი — აღარ იტყვი, ვინ დაგიხვდათ?

ვახტანგი — ძია მიხას ბოჩოლა!

გოგი — ბოჩოლაო?! (იცინის)

ვახტანგი — ჰო, ჭრელი ხბო,
(გივიზე ანიშნებს)
ეს შიშით არ ვარგოდა,
ხმალს იქნევდა, უკან-უკან
გარბოდა და გარბოდა.
(სიცილით)
ალბათ ვეფხვი თუ ეგონა!

გივი — თვალებს აბრიალებდა;
პირს აღებდა, ღრიალებდა,
კუდსაც ატრიალებდა...

ძ ხ ი ა

თ ი ნ ა

გოგი — ვახტანგ, იქნებ დევი იყო,

გივი — დევი არა!

ვახტანგი — მაშ, მგელი!

გივი — ყველგან, ყველგან
განთქმული მაქვს
ვაჟკაცობის სახელი!
თქვენოდენა ლონე, ვფიცავ,
ამას ხედავთ? (ნეკზე აჩვენებს)
აქ არი,
ნახეთ, მკლავზე კუნთები მაქვს
რკინასავით მაგარი!
მობრძანდით და დამეჭიდეთ...
(სახელოებს აიწევს... გივი და ვახტანგი თავს იკავებენ, ერთმანეთს ანიშნებენ დაეჭიდეო).
შეგეშინდათ? ვერ ბედავთ?
ჰოდა, ჩემი შიში გქონდეთ,
როდესაც მე შემხედავთ!
მე გულად ბიჭს მეძახიან,
ლონიერი, მარდი ვარ,
არაფრის არ მეშინია,
ტყეში მარტო დავრბივარ.
(გადის)

გოგი — ხედავ. რა მკვეხარაა?
თავი რაღაც ჰგონია.

ვახტანგი — არაფერი არ იცის...
არც სხვისი გამგონეა!
იცი, რა მოვიფიქრე?

გოგი — რა? მითხარი?

ვახტანგი — მაცადე...
ხომ იცი, რომ ჩვენს ჯგუფში
წარმოდგენას ვამზადებთ?

გოგი — ვიცი...

ვახტანგი — რა მოვიგონე:
(უჩურჩულებს)

გოგი — მითხარ სვენებ-სვენებით.
(უსმენს, ჩურჩულებენ. გახარებულნი არიან)

ვახტანგი — ხომ გაიგე?

გოგი — კარგია!..

ვახტანგი — გავაჭენოთ ცხენები.
მაშ, შევთანხმდით... გავსწიოთ,
თორემ გვაგვიანდება,

გოგი — ხვალ გავიგებთ, გივიკო
რა გულადიც ბრძანდება!
(გადაასხდებიან ჯოხებზე და გარბიან)

ფ ა რ დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი მეორე

დილაა. ღელის ნაპირთან აკორდეონის ხმახე ბავშვები ვარჯიშობენ. მოისმის აღმზრდელის ხმა: „ერთი, ორი, სამი!“ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ბავშვები გადიან სცენიდან. ლოდებთან რჩება გივი და გოგი. ანკესებს წყალში ისვრიან. უკან მოჩანს გამოქვაბული. სიჩუმეა.

გივი — აუ, შენი გულისა,
ღლავი თუ დავიჭირე,
გოგი — დაჭკრა?
გივი — ჩუმად იყავი,
საქმე ნუ გამიჭირე.
გოგი — მალე უნდა წავიდეთ,
გივი — ხმას აღარ გცემ დღეიდან;
გოგი — სულ ცოტა ხნით დარჩითო,
ხომ ასე თქვა დეიდამ.
(გამოქვაბულიდან მოისმის ბურდღუნი)
გივი, გესმის? გაიგე?
ეს ვინ დაიღრიალა?
გივი — ტირილის ხმას არ გავდა?
ალბათ ტირის ციალა!
(ბურდღუნი მეორდება)

გოგი — გაიგონე?
გივი — ჰო, მესმის...
გოგი — გივი, მე მეშინია.
გივი — აქ არა ვარ? იქ ალბათ
შეძვრა მიხას ფინია!..
რა იქნება, ნუ შიშობ,
ახლოს მოსვლას არ ვაცლი,
(ხმალს მოიმარჯვებს)
ბასრი ხმალით, თუნდაც დევს
თავს ერთ წუთში წავაცლი.
(გამოქვაბულში გამოჩნდება დათვის ბელი და ბურდღუნებს)
გივი — (ანკესს წყალში ისვრის) ვაი... ვაი...
(გარბის)
ვახტანგი — (დათვის ბელის კოსტუმს გადაიძრობს და სიცილით ეუბნება გოგის)
რად გინდა,
ეგ მკვეხარა ძმობილად?
გოგი — (იცინის) კიდევ გარბის...
ვახტანგი — დარწმუნდი?
რა „გულადიც“ ყოფილა!

ფარდა

გრიგოლ იმედაძე

აგარაში

დაღლა არ ეტყობა ელმავალს,
მიქრის და მიაპობს ღამეს.
— აგარა, აგარა, აგარა! —
გამყოლი გვაფრთხილებს მგზავრებს.
ჩავედით თვალუწვდენ მინდორზე,
დილის მზემ უმატა სითბოს.
— ბარაქა, ბარაქა, ბარაქა! —
გაისმის გარშემო თითქოს.
მე მამას მივსდევ და მივფრინავ,
გული მაქვს ხალისით სავსე.
— იშრომეთ, იშრომეთ, იშრომეთ! —
ჩურჩულებს ნიავი ასე.
ჰა, აგერ გამოჩნდა ქარხანა,
ეზოში ჭადრების რიგიც.
— სად არი, ჭარხალი, ჭარხალი! —
გასძახის საყვირი ირგვლივ.
და მოაქვთ ავტოებს გუგუნით
ველიდან ჭარხალი მუდამ!
სად იყო ნეტავი ამდენი,
ან ნეტავ რისათვის უნდათ.
და მამა მიამბობს: — არსებობს
ჭარხალის მრავალი გვარი,
საქონლის ძვირფასი საკვები
და სუფრის ჭარხალიც არის.
აი, ეს ყველაზე კარგია,
შაქარი მზადდება ამით.
მე ძლიერ მიკვირს და მაეჭვებს,
მოაცებს ნათქვამი მამის.
ძლიერ მსურს ვიცოდე, ჭარხალი
როგორღა იქცევა შაქრად?
მაგრამ რომ ვეწვიე ქარხანას
ეს ჩემი ეჭვები გაქრა.
აგარის ქარხანა გინახავთ,
უკეთესს რას ნახავთ განა!
აქ შაქრად აქცევენ იმ ჭარხალს
ყოველმხრივ ძრავები დგანან.
აგერ რომ ჭარხალი ჩაჰყარეს,
ბოლოში შაქარი ბრწყინავს.
სუყველა რომ ერთად დახვავდეს
ადარებ ბუმბერაზ მყინვარს.
და მუდამ დილით თუ საღამოს,
მზე სხივთა წამწამს რომ დახრის, —
— მზად არი, შაქარი, აქ არის, —
გუგუნებს საყვირი ქარხნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვი და ბრძენი

ნახატი ზ. ლეჟავასი

ჩინური ზღაპარი

ერთი ბრძენი ეტლით მიემგზავრებოდა. უცებ მისი ცხენი შეჩერდა. ბრძენმა შუაგზაზე დაინახა პატარა ბიჭი. ის არხეინად იჯდა და კრამიტით ქალაქს აშენებდა.

ბიჭმა შეხედა ეტლს, მაგრამ არც კი განძრეულა.

— რა ამბავია, პატარავ, გზას რატომ არ მითმობ? -- ჰკითხა ბრძენმა.

— ხომ ხედავთ, ქალაქს ვაშენებ და მოგეხსენებათ, ქალაქის კედელი კი არ უთმობს გზას ეტლს, პირიქით, ეტლი შემოუვლის ხოლმე კედელს. — მიუგო ბიჭმა.

ბრძენი ასეთი პასუხით განცვიფრდა. ეტლიდან ჩამოვიდა და ბიჭს უთხრა:

— პატარავ! შენი ასაკისათვის არაჩვეულებრივად ჭკვიანი მეჩვენები.

— სამი დღის ბაჭიას უკვე შეუძლია მინდორი კუნტრუშით შემოიაროს და შვიდი წლის ბიჭმა რომ ცოტა რამ ვიცოდე, რა გასაკვირია? — უპასუხა ბიჭმა.

ბრძენმა უთხრა:

— რამდენიმე კითხვას მოგცემ და თუ მიპასუხებ, დავიჯერებ, რომ მართლა ზოგი რამ იცი!

— ვცადოთ. — მიუგო ბიჭმა.

— მაშ, ეს მითხარი, რომელ ცეცხლს არა აქვს კვამლი? რომელ წყალში არ ცხოვრობს თევზი? რომელ ხეს არ ეზრდება ტოტები?

ბიჭი ერთხანს დაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ციცინათელას ცეცხლს არა აქვს კვამლი. წყაროს წყალში არ ცხოვრობს თევზი და დამპალ ხეს არ ეზრდება ტოტები.

ბრძენს მოეწონა ბავშვის პასუხი, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, ბავშვს ეშმაკურად აუციმციმდა თვალები და ბრძენს უთხრა:

— შეიძლება, მეც შეგეკითხოთ?

— სიამოვნებით! -- მიუგო ბრძენმა.

-- მხოლოდ ერთი პირობით: თუ ვერ მიპასუხებთ, ჩემს ქალაქს უნდა შემოუაროთ.

-- თანახმა ვარ! — მიუგო ბრძენმა ღიმილით.

— მითხარით, რამდენი ვარსკვლავია ცაზე?

— რატომ მეკითხები ისეთ რამეზე, რაც ასე შორს არის? მკითხე იმაზე, რაც უფრო ახლოსაა და გიპასუხებ. — მიუგო ბრძენმა.

— მაშ, მითხარით, წარბზე რამდენი ღერი გაქვთ?

ბრძენს გაეცინა, ჩაჯდა ეტლში და მეეტლეს უბრძანა შემოევლო კრამიტის ქალაქისათვის, რომელსაც ბიჭი აშენებდა.

თარგმნა **მოსე ქარჩავამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

ნერგი უნდა მოირწყას

— ნეტავ რას აკეთებ,
დაგაქვს ტოლჩით წყალი.
შენთან რას ჩურჩულებს
ცელქი თამარ-ქალი?
იქნებ ჩუმად რეცხავთ
თოჯინების კაბებს,
იქნებ ერთად ხეხავთ
თეფშებსა და ქვაბებს?
— თქვენ რომ აქ არ იყავით,
ჯგუფებად დავიყავით:
მიწა მოვასუფთავეთ,
გადავყარეთ ხერგები,
ვაშლის, ატმის, ქლიავის
ჩავამწკრივეთ ნერგები.
ნერგი თუ არ მოირწყა,
საღამოთი ან დილით,
ბალი სადღა გვექნება,
ხომ გახმება ხეხილი!

ალეკო შენგელია

ნახატი ზ. ლეჟავასი

საბაღახოებზე

მწვერვალს თოვლი არ შორდება,
უქათქათებს მზეზე მკერდი,
მაგრამ მინდვრებს სამოსელი
ვინ ჩააცვა ნეტავ თეთრი?
დააკვირდი მთების ქვემოთ
მრავალფერად აშლილ სერებს,
აქაც თოვლი მოსულაო,
განა კაცი დაიჯერებს?
გადაივლის ერთ სერს ნელა,
და მეორეს თეთრად ფარავს,
მართლა თოვლი დაფენილა?
არა! მიდის ცხვრების ფარა.
ამოსულან. ცხვარს უთვალავს
მთები გაუხარებია,
ეს ხომ ქვეყნის დოვლათია,
ჩვენი სოფლის ფარებია.
იალაღებს რომ ჩაუდის,
ეს ახალი არხებია,
არხის თავთან ჭაბუკ მწყემსებს
ცეკვა გაუჩაღებიათ.
სიმღერაა. არ იმღეროს —
განა შეძლებს მწყემსის გული,
ამ მთებშიაც მკვიდრობს, ცოცხლობს,
ქვეყნის დიდი სიხარული.
მწვერვალს თოვლი არ შორდება,
უქათქათებს მზეზე მკერდი,
ქვემოთ მინდვრებს ცხვრის ფარების
სამოსელი შვენის თეთრი.

ფასი 2 მან.

ნახატი ი. ბაბაშვილისა

ბიბლიოთეკა

ზაფხული ტყეში

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ბანძელაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. ხიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 8, Август 1953 г. Тбилиси, Ленина 14.
საბლიტგამი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 232 სტამბის შეკვ. № 848 1681 ტირაჟი 15.000 უე 05137